საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშაკიძე თამარ ვლადიმერის ასული

ვაშაკიძე თამარ ვლადიმერის ასული (დ. 8. IV. 1957, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (2001). 1980 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი ქართველური ენების სპეციალობით. 1980-იდან მუშაობს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტში. 2006-იდან არის ამავე ინ-ტის ქართ. მეტყველების კულტ. განყ-ბის ხელმძღვანელი. 1996–2006 პედ. საქმიანობას ეწეოდა ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედაგოგიურ უნ-ტში. ვ-ის კვლევის მიმართულებებია ქართ. ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკის საკითხები; მეტყველების კულტურასა და ორთოგრაფიასთან დაკავშირებული პრობლემები; კომპიუტერული ლინგვისტიკა. ვ. ავტორია მონოგრაფიისა „ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში” (1993). მისი ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით გამოცემულია ლექსიკონები, მ. შ. „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი” (2009) და „პარონიმების ლექსიკონი” (2010).